FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.
Human Rights Hub

ირაკლი წულაია

ისტორია

ირაკლი წულაია ჟურნალისტია. მას ბრალი ედება პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო.
ირაკლი 2024 წლის 29 ნოემბერს, ქაშუეთის ეკლესიის წინ დააკავეს. ის სხვა მომიტინგეებთან ერთად აპროტესტებდა მმართველი პარტიის ანტიდასავლურ ქმედებებსა და გაყალბებულ არჩევნებს. აღსანიშნავია, რომ ირაკლი აქციაზე დაკავებამდე რამდენიმე წუთით ადრე მივიდა, მან ავტომობილი გააჩერა და ქაშუეთის პარალელური ქუჩიდან ავიდა რუსთაველის გამზირზე, რა დროსაც სპეციალური დანიშნულების რაზმის ათამდე წევრი დაესხა თავს. ისინი ირაკლის ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ, შემდეგ კი დააკავეს.

ირაკლი წულაია დაკავებამდე, დაკავების პროცესში და დაკავების შემდეგ, სპეცრაზმელებმა სასტიკად სცემეს. მან მიიღო არაერთი ფიზიკური დაზიანება სახისა და ტანის მიდამოებში. დაზარალებულს მოძალადე პოლიციელები ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ, რა დროსაც ის წაიქცა, თუმცა პოლიციამ წაქცევის შემდეგაც გააგრძელა მასზე ფიზიკურად ძალადობა. მაშინ, როდესაც ირაკლის პოლიციელები სასტიკად უსწორდებოდნენ, მისი ძმა, ლევან წულაია, რომელიც ამ ყველაფერს შეესწრო, სპეცრაზმელებს სთხოვდა, შეეწყვიტათ ძალადობა მისი ძმის მიმართ. სამწუხაროდ, ამის შემდეგ ლევანსაც ფიზიკურად გაუსწორდნენ და ისიც დააკავეს.

“დამაკავეს ცისფერი გალერეასა და პირველ სკოლას შორის. იდგნენ სპეცრაზმელები. წინ დავუდექი და ვუთხარი, ეს ჩემი სკოლაა, რუსებმა ქართველების ხელით დაწვეს და ახლა თქვენი ხელით აპირებენ გაუსწორდნენ ქართველ ხალხს და გთხოვთ, არ გააკეთოთ მეთქი. ამის შემდეგ დამაკავეს. 10-მა სპეცრაზმელმა მირტყა, მერე ჩემი ძმაც სცემეს. ავტობუსში ჩაგვსვეს და იქაც გვირტყეს. გვირტყამდნენ ხელებსა და ფეხებს, სახესა და ტანში,” - იხსენებს ირაკლი წულაია.

აღსანიშნავია, რომ გარდა ფიზიკური ანგარიშსწორებისა, ირაკლის პოლიციელებმა პირადი ნივთებიც წაართვეს - კუთვნილი სმარტფონი და საფულე, სადაც მისი ყველა საბუთი იდო.

ირაკლის პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია, ამ ყველაფრის ამსახველი ვიდეომასალაც არსებობს, რომელიც იქვე არსებულმა ვიდეოკამერებმა დააფიქსირეს.
ის დააკავეს სპეცრაზმელებმა და გადასცეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, რომლებმაც გადაიყვანეს იზოლატორში.

ჟურნალისტის საპატრულო პოლიციისთვის გადაცემის შემდეგ, ის მოათავსეს დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მან 48 საათი გაატარა. მას არაერთი დაზიანება აღენიშნებოდა სახისა და ტანის არეში, გარდა ფიზიკური დაზიანებებისა, ირაკლის აქვს გულის პრობლემა, ამიტომ ის ითხოვდა საავადმყოფოში გადაყვანას, რაზეც არანაირი რეაგირება არ მომხდარა. ირაკლის არაადამიანური მოპყრობის გამო სასწრაფოდ სჭირდებოდა ექიმის დახმარება. მან იზოლატორიდან გამოსვლის შემდეგ, თავად მიმართა სამედიცინო დაწესებულებას.

“48 საათი გავატარეთ მე და ჩემმა ძმამ დროებით იზოლატორში, არ წამიყვანეს საავადმყოფოში, დღეს მთელი დღე სასამართლოში ველოდები სასამართლო სხდომის ჩანიშვნას და ღამის სამ საათზე გადამიდეს იმ მოტივით, რომ დამიმძიმონ მუხლი და სამშაბათს გაიმართება სხდომა,”- ვკითხულობთ ირაკლის მიერ 1 დეკემბერს სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ პოსტში.

5 დღის შემდეგ, სასამართლოზე მისულ ირაკლის, ისევ ეტყობოდა ის დაზიანებები, რაც მას სპეცრაზმელებმა მიაყენეს. ირაკლი წულაიას საქმე, საქალაქო სასამართლოში განიხილა მოსამართლე ზვიად ცეკვავამ. სასამართლომ ირაკლი წულაია წარდგენილ ბრალდებაში სამართალდამრღვევად ცნო და 3,000₾-ის გადახდა დააკისრა, ჯარიმის სახით.

სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ორი პოლიციელის ცრუ ჩვენებას. ვიდეო მასალაზე აღბეჭდილია რომ აღნიშნული პოლიციელები საერთოდ არ იმყოფებოდნენ დაკავების ადგილზე და ირაკლი წულაიას აკავებენ ნიღბიანი სპეცრაზმელები, რომლებიც ძალადობენ მასზე. ირაკლის ადვოკატს, მოსამართლემ მტკიცებულების წარდგენის უფლება არ მისცა.

“შინაგან საქმეთა სამინისტრომ წარადგინა ვიდეომასალა, სადაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არც იყო ასახული. მხოლოდ ზოგადი კადრები იყო. ის დაუშვა და ჩემ მიერ წარდგენილი ვიდეომასალა, სადაც მოვლენები ზუსტად ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების დროსაა აღწერილი, არ დაუშვა, არ დააინტერესა. შსს-ს წარმოდგენილი კადრები 12:00 საათზე იყო გადაღებული და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დააკავეს 03:15-ზე. ამ დროში იქ მოხდა ძალიან ბევრი მოვლენა. ეს არის თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპების დარღვევა, რაც ცალსახად ადასტურებს მოსამართლის მიკერძოებას,”- განაცხადა ირაკლის უფლებადამცველმა, გიორგი ტაბატაძემ.

სასამართლოში ბრალის წარდგენის შემდეგ, ირაკლიმ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართა.

“არ ვიცით, ვინ არიან ეს ადამიანები. მათი იდენტიფიცირება ვერ მოხდება. სახალხო დამცველის წარმომადგენელსაც მივეცი ჩვენება და დღეს მივდივარ სპეციალურ საგამოძიბეო სამსახურში. თუმცა, იმედი არ მაქვს, იქიდან გამომდინარე, რომ ორივე ეს ინსტიტუტი ხელისფლების კონტროლქვეშაა და არ არსებობს ინსტანცია, არ არსებობს ინსტიტუტი, სადაც სისტემაზე დაჯახების შემთხვევაში შეიძლება სამართალი იპოვო ამ ქვეყანაში,” - განაცხადა დაზარალებულმა.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც გულისხმობს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით. ასევე, შესალოა, პოლიციელების ქმედება შეფასდეს, როგორც წამება და დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოიკითხა და საქმეში არსებობს ძალადობის დამადასტურებელი მასალა, ამ დრომდე, პასუხისმგებელი პოლიციელები არ გამოვლენილან და არც დასჯილან. ასევე, საგამოძიებო სამსახურს, ირაკლისთვის დაზარალებულის სტატუსი არ მიუნიჭებია.